№ 109 7 თიბათვე, ოთხშაბათი 1866—1878 7 თიბათვე, ოთხშაბათი № 109

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირაღოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდავი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება"

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირაღოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"*.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი ივნისიდამ გაზეთი წლის დამლევამდინ ღირს—5 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**რაგუზა, 5 ივნისს.** უკანასკნელს შეტაკებაში ოსმალებთან ჩერნოგორიელებმა აიყვანეს ტყვედ 60 ალბანიელი.

**ბერლინი, 5 ივნისს.** კონგრესსის სხდომა დღეს ნაშუადღევის 2-ს საათზე გაიხსნა. კონგრესსის სხდომები საიდუმლოდ არიან.

**სტამბოლი, 3 ივნისს.** ოსმალეთის მთავრობამ დიდი უკმაყოფილება გამოუცხადა სომხის პატრიარქს ნერსეს იმისთვის, რომ არხიეპისკოპოსი ხორეხ-ნარბეი წავიდა პეტერბურღში ოსმალეთზე საჩივლელად. პორტა ურჩევს პატრიარქს, რომ გამოიხმოს ხორეხი სტამბოლში. პატრიარქი უარს ამბობს ხსენებული არხიეპისკოპოსის გამოხმობაზედ.

**ბერლინი, 3 ივნისს.** თუმცა ხუთშაბათს (1 ივნისს) აქეთ კონგრესსი არ შეკრებილა, მაგრამ იმის წევრნი ხშირად გროვდებიან ერთმანეთთან კერძოთ და მოლაპარაკება აქვთ. თ. ბისმარკი ამ გვარ კერძო მოლაპარაკებას უფრო მომეტებულ მნიშვნელობას აძლევს, ვინემ ოფიციალურად შეკრებას, რადგან ამ კერძო კრებებზე თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენელი დათანხმდება სხვებთან და მერე საზოგადო ოფიციალურს სხდომებზედაც უფრო ადვილად მოთავსდებიან.

**რაგუზა, 3 ივნისს.** ჩერნოგორიელებსა და ოსმალებს შუა დღეს გაცხარებული შეტაკება მოხდა; მთელი დღის განმავლობაში ბრძოლა არ შეწყვეტილა. დაწვრილებითი ამბები ჯერ არა მოსულა-რა.

## საქართველო

### მცირე რამ შენიშვნები *)

(დასასრული)

ორათ გაიყოფება რუსეთის ერი. ერთი უდიდესი, ძირეული ნაწილი შეადგენს „ივანეს" რუსეთს და მეორე უმცირესი კი „პეტრესას." რუსის მწერლები ჰკვირობენ: თუ რა ხასიათის მქონე იყო ივანე მე-IV და რითი აიხსნება მისი მოქმედებაები? ამ მტარვალ მეფისათვის როგორც მოგვ თხრობენ რუსის ისტორიკოსები, სიბრალული უცნობი იყო ის ჰქენჯნიდა ქვეშევრდომებს; ყოველ-დღე სულ სხვა-და-სხვა გვარ საშუალობებს იგონებდა მათ სატანჯავად და სურვილს სამუდამოთ მაინც ვერ იკლავდა. . . . . . . . . .

ნოვგოროდი რომ აიღო და ათასობით ხალხი ჰჭუსრა, მიტრაპოლიტი გამოეგება ამ მეფეს ჯვრით, სახარებით, ხატებით, ნაწილებით და სთხოვა: „შეაყენე რისხვაო"! ივანემ მოუსმინა, აღუთქვა; მაგრამ პირობა არ აასრულა...

აი ამ გვარი იყო ის მეფე ივანე, რომელზედაც ბევრსა სწერენ რუსის მწერლები და ჰკვირობენ: თუ რა ხასიათის იყოვო? და ან რათ იყო ისეთიო? ტყვილად სცდილობენ, რომ მისი ბუნებითი მხარეები გარეგან მოვლინებებით ახსნან. რუსის პუბლიცისტი აქსაკოვი ივანეს ხასიათ იმავე მიზეზებით ახსნის, რა მიზეზითაც ნერონი მოქმედობდა; მაგრამ საერთო რა იყო კერპთთაყვანის მცემლის ნერონისა და ქრისტიანის ივანეს შუა?....

ავილოთ ბატონ-ყმობის დრო რუსეთში. განა ბატონი თავის საყმოში იგივე ივანე არ იყო? დღესაც ვაჭრობაში რასა ვხედავთ, თუ არ იმავე მოვლინებაებს? ვაჭარი თავის სახლში იგივე ივანეა; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ვაჭარი მხოლოდ თავის ხელ-ქვეითებზედ, თავის ცოლ-შვილ-მსახურებზედ იყრის გულის ბუხარს. ასტროვსკის თხზულებაები გვიჩვენებენ, რომ ვაჭარი თავის ოჯახში იგივე პატარა ივანეა, რომელსაც ჯერ უშვერებით იძლებს გულს და მერე სულის საქმეებს შეუდგება ხოლმე...

ამ სამი თვის წინეთ მთელმა სოფლის საზოგადოებამ ერთს გუბერნიაში ორმოცი დღის ტუსაღობა გადუწყვიტა ერთს თავის მოძმეთაგანს უმელ-უჭმელადა და როდესაც სული ამოხდა, გაიკვირვეს!

აი ამ რუსებს არა აქვს თავისი ლიტერატურა ანუ უკეთ ვსთქვათ, აქვსთ, მაგრამ სიტყვიერი. . . .

პეტრე დიდმა მოინდომა იმ ხალხისგადაკეთება. დაუხლოვდა ევროპას და შემოიღო რეფორმები თავის ქვეყანაში. ჯერ, რასაკვირველია, გარეგნობიდამ იწყო: დაპარსა წვერები და დაუმოკლა გძელი ტანისამოსი. . . . .

პირველად ეს ცვლილება ძალიან იუცხოვეს, მაგრამ ბოლოს შეეჩვიენ და თან-და-თან იწყეს ევროპიელების დამსგავსება, წაბაძვა.

აი ამ პეტრეს რუსებს აქვსთ თავის ლიტერატურა, რომელიც ბრმა მიბაძვაა ევროპიულის. იმაში ნამდვილი, ნაციონალური არა იხედება-რა, ის ივანეს რუსებისთვის გაუგებარია.

ეს შენიშნეს სლავიანოფილებმა და მოინდომეს ამ მონებიდამ გამოსვლა; ისინი სცდილობენ, რომ თავის სამშობლოს გასანათლებლად და ასაღორძინებლად საფუძველი თავის სამშობლოშივე გამონახონ; მაგრამ ხშირად ისე სცდებიან, რომ იმათაც გამხმარი ტალახი მარმარილოს იატაკი ჰგონიათ ხოლმე. მოვა დრო, რომ, როგორც პირველების, ისე მეორეების ლიტერატურასაც მოელის მოუღებს ნაციონალური ლიტერატურა და დაადგება თავის ბუნების გზას.

აი ამ მიბაძვით და ცრუ-ლიტერატურის გავლენის ქვეშ არიან ჩვენი მწერლები და მათი მწერლობა დღეს. მორონცოვის დროს მწერლები რაც იყვნენ, თავის-თავათ იყვნენ, და იმიტომაც მათ თხზულებაებში აქა-იქ რაღაცა სასიამო და მშობლიური ისმის. ამგვარებია: ერისთავის თხზულებანი, ანტონოვის, ალექსანდრე ორბელიანის (გარდა მისი ტრაგედიისა,) მონასტრის და არდაზიანის! თუმცა ესენი ყველა უკანონოდ და უთავ-ბოლოდ დაწერილია, მაგრამ უმჯობესი და უფრო მნიშვნელოვანი არიან ახლანდელ კანონიერ და ხელოვნებით ნათხზებზედ.

დასასრულ კიდევ ვიტყვი, რომ, თუ ჩვენს ლიტერატურას ენა და ხასიათი არ გამოეცვალა და არა ეშველა-რა, ცუდად არის საქმე.

*) „დროების", № 107.

ერთი მწერლის მეტი არ გვეგულება, რომ თავის სამშობლო ქვეყანა იცოდეს იმ გვარის ცოდნით, რომელიც ზემოთ ვთქვით, და გადარჯულებულად არ სწერდეს: ეს მწერალი არის თ. რაფიელ ერისთავი და საჭიროა, რომ მის ნაწერებს ყურადღება მიექცეს. სხვათა შორის იმას აქვს კრილოვის ზღაპრები და ცოდვა არ არის, რომ ის ასე ხელ-ნაწერათ რჩებოდეს და ობროდობროები კი იბეჭდებოდენ, როგორც სახალხო რამა!?

აკაკი.

## დღიური

*** აქ დღეებში დაიბეჭდა ანგარიში ტფილისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორისა, რომლიდამაც მოგვყავს შემდეგი საინტერესო ცნობები:

ამ წლის 1 იანვარს ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა შკოლებში სწავლობდა სულ 8,776 ვაჟი და 2,334 ქალი.

ამ რიცხვიდამ სახაზინო შკოლებში —1,287 ვაჟი და 57 ქალი, სასოფლო შკოლებში 978 ვაჟი და 105 ქალი, სომხების შკოლებში—2,074 ვაჟი და 706 ქალი და სხვ.

ამას რომ მოუმატოთ კიდევ ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების 12 შკოლა, მაჰმადიანების 98 და ებრაელების 9 შკოლა, გამოვა, რომ მთელს ტფილისის გუბერნიაში ითვლება სულ 302 სახალხო შკოლა, რომლებშიაც 11,335 შაგირდი სწავლობს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ტფილისის გუბერნიაში 731,698 სული ითვლება ორივე სქესისა, მაშინ გამოვა, რომ ყოველ 64 სულზე ერთი შაგირდია.

უფ. დირექტორი ტფ. გუბ. სახალხო შკოლებისა ამბობს, რომ ყველა ამ შკოლებში სწავლა მშობლიურს ენაზედ არისო და რუსულს ენას ისე ასწავლიან, როგორც სხვა საგნებსაო.

ყველაზე საუკეთესო შკოლები უფ. დირექტორის აზრით, არის: საგარეჯოს, ენისელის, საბუის, შილდის, ქვემო-მაჩხაანის და ბოდბის-ხევისა.

*** ბორელები დიდ გაჭირვებას გვწერენ უხორცობის გამო. დღეში თითო ძროხის მეტს არა ჰკლავენო, შუადღემდინ ვერ მოაქვთ ქალაქში ხორცი, რადგან პირუტყვს ქალაქს გარეთ ჰკლავენო; მოაქვთ თუარა, შეიქნება საყასბოში ერთი ჩხუბი, აყალ-მაყალი და დავიდარაბა; ხშირად უბრალო მამკვდავნი სულ უხორცოდ, ცარიელი ბრუნდებიან შინაო; „ბობოლაებისათვის" კი საუკეთესო ხორცი ყოველთვის მზათ არისო. ბირვანქა ხორცი ბორში 11 კაპეიკად იყიდებაო, მაგრამ ნეტავი სამ შაურად იყოს ოღონდ კი იშოვებოდესო.

*** ქართლიდამვე გვატყობინებენ, რომ რადგან ახალ ყანებს ძალიან კარგი პირი უჩანს და წელს კარგ მოსავალს მოველით, ამის გამო პური და ქერი ახლავე გაგვიეფდაო. პურის პოდრიადჩიკები დალონებულები დადიანო, რადგან ისე ძვირად ველარ გვჰყიდიან პურს, როგორც დღემდინ ჰყიდდნენო.

*** სხვათა შორის, ამ ჟამად დიდი სიიაფე ჩამოვარდა თივისა. მოგეხსენებათ, რომ შარშან ზაფხულ და წელს ზამთარში ფუთი თივა ექვს აბაზად და ატრიადებში ორ-მანეთადაც ისყიდებოდა. ახლა კი ხუთ-ექვს შაურად ფასობს. ეს თივის გაიაფება მიეწერება მაისის წვიმებს, რომლის წყალობითაც კლდეზე და ქვებზედაც კი ამწვანდა მშვენიერი ბალახი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ პეტერბურღის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორს უფ. ა. ცაგარელს საბა სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის წიგნი" გადაუთარგმნია რუსულად. ამბობენ, ძალიან კარგი თარგმანი არისო.

*** ამის წინათ სტამბოლის სომხებმა შეადგინეს სომხური „სახალხო წიგნების გამომცემელი საზოგადოება". ჩვენ შევი-

# ფელეტონი

## პალტო *)

მოთხრობა

(დასასრული)

II

ეს იყო ზაფხულში. ბ—ის ქალაქში დადგა პოლკი. სახლის მეპატრონენი ვალდებულნი იყვნენ მიეცათ ცარიელი ბინა.

დიმიტრი პ—ჩი ძალიან შეაწუხა ამ მოულოდნელმა შემთხვევამ: იმას ჰქონდა ცარიელი სახლები და ჰყავდა ლამაზი ცოლი. დეპუტატმა, რომელიც პატივსა სცემდა და ხათრი ჰქონდა დ. პ—ჩისა, გამოუცხადა იმას, რომ ის ურჩევს მიიღოს თავის სახლებში ბატალიონის კამანდირი, კაცი ძალიან კეთილი და პატიოსანი. დიმიტრი პეტროვიჩი დამშვიდდა.

მეორე დღეს დილით ქალაქის ყველა მცხოვრებლები გამოღვიძებულნი იყვნენ მარშის ხმით, რომელსაც უკრავდნენ დაღლილი და დამტვერიანებული სალდათები. ჯარის წინ ჯანდაკ ცხენზედ მშვენოდა ადიუტანტი, რომელიც იცქირებოდა აქეთ-იქით ქუჩის ფანჯრებში, საიდამაც აქა-იქ მოჩანდა სხვა-და-სხვა ღირსების ორივე სქესის თავები, ყველა ნამძინარევის თვალებითა.

დიმ. პ—ჩის ეზოში უკვე იდგა პოვოზკა და ორი დენშჩიკი ამზადებდა ოთახებს ახალი მდგმურის მისაღებად.

ამალია კარლოვნამ, გაღვიძებულმა მუზიკის ხმით, გასწია ფარდას და გაიხედა ქუჩაში თავის ჟუჟუნა თვალებით; მაგრამ დაინახა რა აფიცერი, იმწამსვე შეიმალა...

ამ შემთხვევის რამოდენიმე დღის შემდეგ ბ—ში თითქმის ყოველ ოჯახში იპოვებოდა ერთი მაინც ნაცნობი აფიცერი.

დიმიტრი პეტროვიჩს ძალიან მოეწონა თავისი მდგმური. მალე სახლის პატრონები ისე დამეგობრდნენ თავიანთ მდგმურთან, რომ ადიუტანტი ხშირად პირ-და-პირ შედიოდა. დიმ. პ—ჩის კაბინეთში, დარწმუნებული, რომ თავის ბატალიონის კამანდირს უთუოდ იქ ნახავს. მიხაილ გერასიმოვიჩი, კამანდირი, იყო ლამაზი შეხედულობისა, წამოსადეგი, მდიდარი და ჭკვიანი ვაჟ-კაცი. იმან მალე შეიძინა სრული პატივის-ცემა დიმიტრი პეტროვიჩის, მისთვის უფრო, რომ იცოდა ხანგრძლივი მუსაიფი ისეთს რამეებზედ, როგორც მაგალ., თუ როგორი ნეტარება მოელის სასუფეველში ქვრივ-ობლების მზრუნველს, გაჭირვებულთა შემწყნარებელს, დამხმარებელს და სხვ.

ამალია კარლოვნამაც მალე მიაქცია ყურადღება ახალ მდგმურს მისთვის უფრო, რომ ამან მშვენივრად იცოდა ნემეცური ენა, და ხშირად საღამობით ამალია სტკბებოდა საყვარელ სამშობლო ენაზედ მუსაიფით...

რადგანაც ეს არის უბრალო მოთხრობა, და არა რომანი, ამისათვის უადგილო იქნება გავყვეთ ყველა წვრილმან შემთხვევებს, თუ რა გზით ამალია კარლოვნა ცოტ-ცოტათი შეეჩვია, დაუახლოვდა მიხაილ გერასიმოვიჩს და ბოლოს როგორ შეიყვარა იმან პირველის სიყვარულით და ამნაირად დაბნელდა ნათლით შემოსილი ბედნიერი გორიზონტი დიმ. პეტროვიჩის ცხოვრებისა!

მოვიდა ზაფხული, შემოდგომა. დადგა ზამთარი და მაატანა ცივმა სუსხმა; დაუშვა წვიმებმა, ასტყდა ქარები; ქუჩებში გაუვალი ლაფები. ჩამოვარდა „სკუჩნაობა". მიხაილ გერასიმოვიჩს მოსწყინდა და გაანება თავი ლაპარაკს—თუ როგორი ნეტარება მოელის ქვრივ-ობლების დამხმარებელს სასუფეველში. ის უმეტეს ნაწილად ატარებდა დროებას ამალია კარლოვნასთან, შეექცეოდა იმას ნემეცურ ენაზედ ლაპარაკით, თუმცა ეს ენა დიმ. პეტ—სთვის იყო ქაჯური ენა.

ამ დროს რაღაც ძალიან სამძიმო საქმის გამო დიმიტრი პეტროვიჩი დაუყოვნებლივ უნდა წასულიყო მაზრაში ერთ უნუგეშო ქვრივთან, დატვირთულთან დუჟინი ობლებით. როგორც ძალიან კეთილმა და ღვთის მოშიშ კაცმა, დიმ. პ—ჩმა გაიმაგრა გული და გაეჩქარა სანუგეშებლად, ცრემლების შესაშრობლად მტირალთა, მწუხარეთა ხელის შესასუბუქებლად, თუმცა კი ძალიან არ უნდოდა წასულიყო.

თუმცა დიმიტრი პეტროვიჩმა გამოუცხადა თავის ამალიას, რომ მესამე დღეს

*) „დროება", № 108.

ტყუთ, რომ ამ საზოგადოების სასარგებლოდ თფილისისსომხისსემინარიის შაგირდები წარმოდგენის გამართვას აპირებენ.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ ბრიტანიის ბიბლიური საზოგადოება შესდგომია ქართულ სახარებისა და დავითნის ბეჭდვას ნამესტნიკის ტიპოგრაფიაში.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენიმე პირნი (ქართველთაგანნი), რომელნიც კარგათ გრძნობენ — თუ რა შეწუხება ადგიათ ქალაქის მცხოვრებთ ვაჭრებისაგან, განსაკუთრებით ხორაგეულის და სხვა აუცილებელად საჭირო საგნების გამყიდველებისაგან, აპირებენ თფილისში ახალ „მომხმარებელ“ ანუ „დამზოგველ“ საზოგადოების გამართვას. ჩვენ გვითხრეს, რომ ამ საზოგადოების წესდება ცოტათი განსხვავდება რუსეთის სხვა ამ გვარ საზოგადოებისაგანაო.

წესდება ამ საზოგადოებისა უკვე მზათ არის და ამ დღეებში უნდა წარუდგინონ უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლად.

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

„მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია:

„გასულ პარასკევს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ახლად შეკრებილი დონის ყაზახების ჯარები, მოიწონა იმათი სამხედრო ვარჯიშობა და ბოლოს გამოუცხადა, რომ „თუ გარემოებამ აგიძულოთ სალაშქროდ წასვლაო, იმედი მაქვსო, თქვენც ისე ისახელებთ თავს, როგორც საზოგადოთ ყოველთვის უსახელებიათ თავი დონის ყაზახებსაო.“

—

ამავე გაზეთში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომ წელს 218,000 ახალი ჯარი უნდა მოგროვდეს რუსეთში.

—

ვენიდამ მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ, ავსტრო-ვენგრიის მმართებლობის განკარგულებით, იქ ექვსი დივიზია ჯარი დამზადებული უნდა იქნეს საომრად. აქას წინათ შევგვატყობინა კიდევ დეპეშამ, რომ ავსტრიამ თავის ფლოტიც დაამზადა ზღვაში გასასვლელადაო.

—

ნემეცურ გაზეთს „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ იწერებიან არზრუმიდამ 22 მაისს:

„ყველასთვის ცხადი შეიქნა აქ, რომ ოსმალები კიდევ რუსებთან საბრძოლველად ემზადებიან და ამის გამო ისეთი შიში აღარა აქვთ ამათა, როგორც ადრე ჰქონდათ. აქაური მაჰმადიანები უგონებენ სტამბოლიდამ მოსულ პირებს, რომელნიც ქადაგობენ, რომ მალე ისევ ბრძოლა გვექნება რუსეთთანაც დამოუმზადენითო.

„ამ უკანასკნელ კვირეებში აქ, არზრუმის ციხესთან, მოჰკლეს ორი აფიცერი და ხუთი მძიმედ დასჭრეს. რასაკვირველია, ოსმალოებს აბრალებენ ამას. არზრუმში ნახა რუსის პოლიციამ ერთს სარდაფში რამდონიმე ათასი თოფი დამალული.

„ყველა ამ გარემოების გამო რუსები ძალიან ფრთხილად არიან ახლა აქეთკენ და დღე-დღეზე აჯანყებას მოელიან. ამ დღეებში აქ 25 მაჰმადიანი დაიჭირეს და სატუსაღოში ჩაჰყარეს.“

—

ზემოხსენებულივე გაზეთის ტრაპიზონელი კორრესპონდენტი იწერება, რომ იზმაილ-ფაშამ ახლად მოაგროვა ერზინგიანში 50 ბატალიონი ჯარიო და ამჟამადაც აგროვებსო.

—

„Indép. Belge“-ში მოყვანილია ბერლინიდამ მიღებული დეპეშა, რომ, რუსეთს გარდა, გერმანიამაც გამოუცხადა ოსმალეთსაო, რომ სანამ შუმლა და ვარნა არ დაიცლება, მანამ კონგრესზე მონაწილეობას არ მიიღებო; ამის გამო ოსმალეთის მთავრობამ ვინამ განკარგულება მოახდინა ხსენებულ ციხე-ქალაქების დაცლისა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ რუსებმაც მოაშორონ თავის ჯარი სტამბოლს.

—

„პეტერბურღის უწყებებში“ იწერებიან

---

დაბრუნდება, მაგრამ მოხდა ისე, რომ მეორე დღესვე დაბრუნდა. ოჰ, ღმერთო! როგორა სცდებიან ზოგიერთი ქრმები, რომლებიც სტყუვდებიან ანგარიშში!

დიმიტრი პეტროვიჩი, 50 წლის კაცი ძალიან შეაწუხა ამ ცუდ დღეებში მოგზაურობამ. მაგრამ ტკბილი იმედი, სანუკეშო ჰაზრი, რომ თავისი საყვარელი ამალია მიეგებება კარებში და, რასაკვირველია ქრმის მოულოდნელი დაბრუნებით, ამხნევებდა იმას და არაფრად აგდებდა ბუნების ხუმრობას...

მოვიდა თავის ეზოში; მაგრამ, როგორც ჰფიქრობდა, თავისი ამალია კარლოვნა არ მიეგება დერეფანში, თუმცა იმისი მოსვლა აცნობა ეკიპაჟზედ მიბმულ ზარის წკრიალმა... ამ გარემოებამ ძლიერ შეაწუხა ტიტიკო და ის პალტო გაუხდელი შევიდა თავის ცოლის ოთახში.. ამალია იწვა კრაოტზედ და ეძინა. დ. პ—მა ცხადათ შეამჩნია თავის ცოლის სახეზედ ციების ნიშნები. ის იყო ფერმკრთალი, გაყვითლებული: ქრივ-ობლების მზრუნველმა ფრთხილათ გაიხადა თავისი საყვარელი პალტო, დაკეცა გულ-მოდგინეთ და მძიმეთ დასდო სკამზედ. მერე მივიდა კრაოტთან და მწუხარებით დაუწყო ყურის-გდება ცოლის მძიმე სუნთქვას. ამ დროს ამალიამ გაიღვიძა და თავისი ჟუჟუნა თვალებით შეაცქერდა ქმარსა.

— რა დაგმართვია, ჩემო სულის ბატკანო?! ჰკითხა შეწუხებულმა ქმარმა,

— ჯერ ათი საათიც არ არის და დაწოლილხარ! ვინ შენა და ვინ ასე ადრე დაწოლა?

— ოჰ, რაღაც ძალიან შეუძლოთა ვარ, გენაცვა! ვგონებ, რომ გავცივდი, მიუგო მინაზებულის ხმით ამალიამ.

— არ მოგვაყვანინო დოქტორი?

— აჰ, არა, გენაცვა! უფრო კარგს იქმოდი, რომ წახვიდოდე ფრიდრიხ ივანიჩთან და გამოართმევდე იმ პარაშოკებს, რომლებიც ასე ძრიელ მშველიან ამ გვარ შემთხვევის დროს!

იმ ქრმისთვის, როგორიც იყო დიმიტრი პეტროვიჩი, თხოვნის გამეორება საჭირო აღარ იყო. იმან დაივიწყა დაღლილობაც, სიცივეც, წვიმაც და გაიქცა ოთახიდგან, საჩქაროთ ჩამოიღო დერეფანში ხარიხადამ პალტო, გადაიცვა და გაეჩქარა აფთიექში. ფრიდრიხ ივანიჩი როგორც ნემეცი, კარგათ იცნობდა ამალიას და, მაშა სადამე, დიმ. პ—ჩსაც.

— დიდი ხანია მოხვედით, დიმიტრი პეტროვიჩ? ჰკითხა აფთექარმა, როცა პარაშოკებს ამზადებდა.

— ეს კი იყო მოველ!

ჩვენკი ხვალ საღამომდი არ მოგველოდით!

დიახ, არც მე მეგონა, თუ ასე მალე დავბრუნდებოდი! მიუგო წყნარად დიმიტრი პეტროვიჩმა.

აი პარაშოკები, მიირთვით! და ფრიდრიხ ივ—ჩი შეჩერდა და რაღაც განცვიფრებით დაუწყო ცქერა ტიტიკოს.

ცოტა ხნის შემდეგ ის მიუბრუნდა წასასვლელად მომზადებულ ქრივ-ობლების მზრუნველს და ჰკითხა:

— დიდი ხანია სამხედრო სამსახურში ხართ? — როგორ თუ სამხედრო სამსახურში?! მიუგო დიმ. პეტ—მაც გაკვირვებით.

აფთიექარმა დახედა დიმიტრი პ—ჩი თავის მხრეზზედ... იფფ! სიხარულო! მხრებზედ იმას შვენოდნენ მშვენიერი ოქროს ფერი ჯინჯილიანი პაგონები, აპპელატები! . . ქრივ-ობლების მზრუნველი გაუკებრად, ხმა ამოუღებლად, გაშტერებული ჩაჯდა სავარძელში და წაივლო ორივე ხელები თავზედ და წარმოსთქვა მოუძლურებულის ხმით, თითქმის კვნესით:

— აღარ მინდა პარაშოკები!... მიშველ!... ზავიგე, რა ამბებიც მომხდარა!... ოჰ, დაწყევლილო პალტოვ!... ოო, ამალია, ამალიავ! . . .

ბ—ში ლაპარაკობდნენ, რომ მეორევე დღეს მიხაილ გერასიმოვიჩი გადავიდა ამ ქალაქიდამ და თავის ნებით ჩაირიცხა სხვა პოლკში.

ამბობდნენ აგრეთვე, რომ მიხ. გერ—ის დენშჩიკმა ბარე ორი ცხელ-ცხელი სილაქები მიიღო თავის ბატონისაგან ჯილდოთ, რომ იმან ვერ გამოიცნო იმისი შემდეგ ორი კითხვა—რა იქნა პალტო?!—როგორ მოხდა, რომ ამ წვიმიან ღამეში სერთუკის სინაბარა დავბრუნდი შინ და წვიმამ ძვლებამდისინ გამიარა?!

თეოფ. ქანდელაკი

ბერლინიდამ:

„გადაწყვეტით ამბობენ, რომ ბათუმი და ბესსარაბია რუსეთს დარჩება. მაგიერად ინგლისიც შეიძენს ლევანტის ზოგიერთ კუნძულებს.“

# ნარევი

### ვოლტერის იუბილეი

გასული მაისის 18-ს პარიჟში იდღესასწაულეს ასი წლის იუბილეი გამოჩენილის საფრანგეთის მწერლისა და ფილოსოფოსის ვოლტერისა, რომელიც 1778 წელს მოკვდა.

ამ დღესასწაულისათვის დიდი ხანია ემზადებოდა პარიჟის ქალაქის მუნიციპალიტეტი (რჩევა); მაგრამ კლერიკალებმა, იეზუიტებმა და საზოგადოთ კონსერვატორებმა ისეთი ყაყანი შეჰქნეს, რომ მმართებლობა იძულებული შეიქნა აეკრძალა ოფიციალურად დღესასწაულობის გადახდა. ამის გამო ქალაქის რჩევამ კერძოთ იდღესასწაულა ეს დღე.

ორ ადგილას იდღესასწაულეს პარიჟში ვოლტერის იუბილეი „Gaitè“-ს თეატრში და ერთცირკში. თეატრში იყვნენ მოწვეულნი ნაწილი მწერლები, ნაციონალური კრებისა და სენატის რესპუბლიკელი დეპუტატები და ამას გარდა მოპატიჟებული სტუმრები, სულ სამი ათას კაცამდინ.

ვიქტორ ჰიუგომ, (რომელიც ამ კრების თავსმჯდომარედ იყო დანიშნული), დეპუტატმა სპიულერმა და დიუშენელმა წარმოსთქვეს აქ სიტყვა, რომელშიაც გამოხატეს ვოლტერის მნიშვნელობა როგორც ლიტერატურაშია აგრეთვე იმის გავლენა ცხოვრების წარმატებეზედ.

ცირკში დეპუტატი მენიე იყო კრების თავსმჯდომარედ, აქ 6,000 კაცამდინ შეიკრიბა წარმოსთქვეს აგრეთვე რამდენიმე სიტყვა ვოლტერის შესახებ, იმღერეს „მარსელიეზა“ პოლიტიკურ დევნულებისათვის მიაგროვეს რამდენიმე ათასი ფრანკი და შემდეგ დაიშალნენ.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: ტფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

(5—5)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა „მული, რძალი და მაზენიკები“ სამ-მოქმედებიანი დრამმა ალ. ა. თუთაევისა (5—5)

ქ. გორში არის ხუთ თვალიანი გასაქირავებელი სახლი

უფ. ჟურულისა თავის სამზარეულოთი, სარდაფითა და ეზოთი.

სახლი დგას როტონდის გვერდით.

ფასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება გორში უფ. ალალო თუთაევთან.

(3—3)

უფროსის კლასის გიმნაზიელს ჰსურს აძლიოს გაკვეთილები პროგიმნაზიის საგნებიდამ.

მსურველს შეუძლია ადრესსი იკითხოს ფოჩტაში, ჩინოვნიკ შაშელთან.

(5—5)

ამ თვის 15-ს გაიხსნა ტფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვიშოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20 კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთაველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ვისაც ჰსურს მოიპოვოს ახალი კევრი შეუძლიან მიჰმართოს ნ. პავლიღვილს, (პუკიაში, ელისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 83 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაზღვეული (სამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 3 ივნისს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 45 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | 20 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 15 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური ხტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 5 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 70 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 99 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 8 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | — |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

### ტფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: შიუხარიანც—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—ქალის და ობრეხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და შიუხარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Іюня 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.